



## პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელი

პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელი (პმაფ) მოიცავს ზოგად ინფორმაციას პროექტის ან პროგრამის შესახებ. იმის გამო, რომ აღნიშნული ინფორმაცია სამუშაო პროცესში მუშავდება, მისი ნაწილი შესაძლოა არ იყოს შესული აღნიშნული აღწერის საწყის ვერსიაში, თუმცა, დაემატება მას შემდეგ, რაც გახდება ხელმისაწვდომი. ინფორმაცია შემოთავაზებული პროექტების შესახებ სავარაუდოა.

პმაფ შედგენის თარიღი	–
პმაფ განახლების თარიღი	21 ნოემბერი 2012 წელი
პროექტის დასახელება	მრავალტრანშიანი საკრედიტო ხაზი – მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა – კონცეფცია
ქვეყანა	საქართველო
პროექტის/პროგრამის ნომერი	42414-033
სტატუსი	დამტკიცებული
გეოგრაფიული მდებარეობა	–
<p>ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადებისას, პროექტის დაფინანსებისა თუ წინამდებარე დოკუმენტში კონკრეტული გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მინიშნებისას აზიის განვითარების ბანკი (აგბ) არ ისახავს მიზნად აღნიშნული ტერიტორიისა თუ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის იურიდიული თუ სხვა სტატუსის განსაზღვრას.</p>	
სექტორის და/ან ქვესექტორის კლასიფიკაცია	ტრანსპორტი და ურბანული ტრანსპორტი
თემატური კლასიფიკაცია	ეკონომიკური ზრდა გარემოსდაცვითი საკითხები რეგიონული თანამშრომლობა და ინტეგრაცია გენდერული თანასწორობა კლიმატის ცვლილებები
გენდერული კატეგორიები	მცირედი გენდერული სარგებელი

## დაფინანსება

ხელშეწყობის ტიპი/მოდალობა	დამტკიცების ნომერი	დაფინანსების წყარო	დამტკიცებული თანხის ოდენობა (ათასი)
სესხი	2879	ორდინარული კაპიტალური რესურსები	64,000
სესხი	2880	აზიის განვითარების ფონდი	16,000
ჯამი			<b>US\$80,000</b>

## გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიები

კატეგორიების შესახებ უფრო სრული ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ <http://www.adb.org/site/safeguards/safeguard-categories>

გარემო	<b>B</b>
იძულებითი განსახლება	<b>A</b>
ადგილობრივი მოსახლეობა	<b>C</b>

## გარემოსდაცვითი და სოციალური

### საკითხების მიმოხილვა

#### გარემოსდაცვითი ასპექტები

ქვეპროექტების გარემოსდაცვითი საკითხების ძირეული განხილვა მოხდა პროექტების კატეგორიის მოაზრებით, ვინაიდან პროექტებს, მათი მშენებლობისა და ფუნქციონირების დროს, არ ექნებათ რაიმე საგულისხმო შეუქცევადი ზეგავლენა გარემოზე. თბილისი-რუსთავის გზის ქვეპროექტის გარემოზე ზეგავლენა ძირითადად მშენებლობის ფაზას უკავშირდება და განსაკუთრებული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ზომების გატარება იქნება საჭირო იქ, სადაც გზა საცხოვრებელ უბნებს კვეთს და, ასევე, გზის გადაკვეთის ადგილას. მცხეთის ხიდის შემთხვევაში, ძირითადი გარემოსდაცვითი ასპექტები შემდეგია: მშენებლობა და ნარჩენების მართვა UNESCO-ს სიაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მახლობლად. ასევე სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება ქალაქის გადატვირთულ გზებზე, ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული დისკომფორტი და სხვა სამშენებლო ნიუანსები, როგორცაა ნიადაგის ეროზია და მდინარე არაგვში

---

წყლის ხარისხი. გარემოზე აღნიშნული ზეგავლენა მოკლევადიანი და მართვადია შესაბამისი ტექნიკური დიზაინის, კარგად მომზადებული გარემოს მონიტორინგის გეგმისა და მშენებლობის ზედამხედველობის პირობებში. ორივე ქვეპროექტთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართა. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სპეციალისტის ხელშეწყობით, მუნიციპალური განვითარების ფონდი მოითხოვს კონტრაქტორისგან პირველადი გარემოსდაცვითი შეფასებისას მომზადებული გარემოს მონიტორინგის გეგმის დახვეწასა და მისი პირობების შესრულებას, რაც ასევე სამშენებლო კონტრაქტის განუყოფელი ნაწილი იქნება.

---

### **იძულებითი განსახლება**

იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მომზადებული მიწის შესყიდვისა და განსახლების პირველი მსხვილი გეგმა, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გეგმის მომზადების პროცესში. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმაში თბილისი-რუსთავის გზის ორი მონაკვეთი განსახლების თვალსაზრისით შედის A კატეგორიაში, ხოლო მცხეთის ხიდის მონაკვეთი აღინიშნა B კატეგორიით. ამდენად, მთელი ტრანში შედის A კატეგორიაში. მიწის შესყიდვისა და განსახლების ყველა გეგმა აიტვირთა აზიის განვითარების ბანკისა და აღმასრულებელი სააგენტოს ვებ გვერდზე. ქართულენოვანი ბუკლეტი მიწის შესყიდვისა და განსახლების ძირითადი ასპექტების აღწერით გაეგზავნა ყველა შესაბამის მხარეს. მიწის შესყიდვისა და განსახლების ყოველი გეგმა მომზადებულია პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ მყოფი მხარეების მონაწილეობით გამართული კონსულტაციების ან პირადი შეხვედრების ინფორმაციაზე დაყრდნობით. ზეგავლენის ქვეშ მყოფთა საერთო რაოდენობა შეადგენს 256 ადამიანს და ძირითადი ზეგავლენის ქვეშ მოექცევა დაახლოებით 450,107მ<sup>2</sup> მიწა, 34 შენობა და 230 ხე.

### **ადგილობრივი მოსახლეობა**

აზიის განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (2009) თანახმად, საინვესტიციო პროგრამა არ მოიცავს თემს, რომელიც შესაძლოა განისაზღვროს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა. ამდენად, ადგილობრივი მოსახლეობაზე გავლენა ყველა პროექტისთვის შედის C კატეგორიაში.

---

## **დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია, მათი ჩართულობა და მათთან კონსულტაციები**

---

**დაპროექტებისას**

–

---

**პროექტის განხორციელებისას**

–

---

## ■ აღწერა

---

---

## ■ პროექტის არსი და კავშირი ქვეყნის/რეგიონის სტრატეგიასთან

---

---

## ■ ზეგავლენა

---

გაუმჯობესებული ურბანული გარემო, ადგილობრივი ეკონომიკური ზრდა და უკეთესი საცხოვრებელი პირობები

---

## ■ პროექტის შედეგი

---

შედეგის აღწერა

პროგრესი შედეგის მისაღწევად

ეფექტური, საიმედო და ხელმისაწვდომი ურბანული სატრანსპორტო მომსახურება შესაბამის ქალაქებში

–

## ■ შედეგები და განხორციელების პროგრესი

---

პროექტის შედეგის აღწერა

განხორციელების პროგრესი (შედეგები, ღონისძიებები, პრობლემები)

მუნიციპალური განვითარების ფონდისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ აღდგენილი და გაუმჯობესებული ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. შესაბამისი ტრანშების ქვეპროექტები მზად არის განსახორციელებლად. მუნიციპალური განვითარების ფონდში და შესაბამის

–

---

მუნიციპალიტეტებში კვალიფიციური და  
გამოცდილი ერთეულების ჩამოყალიბება,  
რომლებიც ზედამხედველობას გაუწევენ  
პროექტის მართვასა და განხორციელებას.

---

**შედეგების სტატუსი**

**ძირეული ცვლილებები**

---

–

–

---

## ■ ბიზნეს შესაძლებლობები

---

**პირველი ჩანაწერის თარიღი** 3 ნოემბერი 2010 წელი

### **საკონსულტაციო მომსახურება**

მომსახურებისა და მასალების შესყიდვა განხორციელდება აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების ინსტრუქციების შესაბამისად. შესყიდვის პროცესის დაწყებამდე აზიის განვითარების ბანკი და მთავრობა განიხილავენ საქართველოს საჯარო შესყიდვების კანონს, რათა დარწმუნდნენ აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების ინსტრუქციებთან შესაბამისობაში. ყველა კონსულტანტის დაქირავება მოხდება აზიის განვითარების ბანკის კონსულტანტების აყვანის ინსტრუქციების შესაბამისად. ქვემოთ მოყვანილია საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტები, რომელთა ფარგლებში უკვე ტარდება ან იგეგმება შესყიდვები მომდევნო 18 თვის მანძილზე: (i) ბათუმის სანაპირო ზოლის გაუმჯობესება და დიზაინი, შესყიდვები და მშენებლობის მენეჯმენტი, (ii) თბილისის ბუღვარის დიზაინი, შესყიდვები და მშენებლობის მენეჯმენტი, (iii) მცხეთის ხიდის მშენებლობის ზედამხედველობა, (iv) პროექტის მენეჯმენტი, ტრანში 2 – ტექნიკური ექსპერტიზა, ხელშეწყობა და ტრენინგი პროექტის მართვის, სოციალურ, გარემოსდაცვით, ფინანსურ და შესყიდვების საკითხებში, (v) ხიდის ლაბორატორიის შექმნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, (vi) პროექტის ბალანსი და დამოუკიდებელი აუდიტი, (vii) მონიტორინგის დამოუკიდებელი სააგენტო (გარემოსდაცვა და განსახლება).

### **შესყიდვები**

ქვემოთ მოყვანილია საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტები, რომელთა ფარგლებში უკვე ტარდება ან იგეგმება შესყიდვები მომდევნო 18 თვის მანძილზე: (i) თბილისი-რუსთავის ურბანული გზა, (ii) მცხეთის ხიდი

### **შესყიდვების და საკონსულტაციო შეტყობინებები**

<http://www.adb.org/projects/42414-033/business-opportunities>

---

## ვადები

კონცეფციის დამტკიცება	–
ფაქტების მოძიების მისია	–
მენეჯმენტის მიერ განხილვა	–
დამტკიცება	24 ივლისი 2012 წელი
ბოლო მისია	–

## მიზნები

დამტკიცების ნომერი	დამტკიცება	ხელმოწერა	ეფექტურობა	დახურვა		
				ორიგინალი	რედაქტირება	ფაქტობრივი
სესხი 2879	24 ივლ 2012	24 ივლ 2012	20 აგვ 2012	31 დეკ 2018	–	–
სესხი 2880	24 ივლ 2012	24 ივლ 2012	20 აგვ 2012	31 დეკ 2018	–	–

## ათვისება

თარიღი	დამტკიცების ნომერი	აგვ (აშშ \$ ათასი)	სხვა (აშშ \$ ათასი)	პროცენტულობა
<b>კონტრაქტების ნაერთი ჯამი</b>				
21 იან 2013	სესხი 2879	0	0	0.00%
21 იან 2013	სესხი 2880	0	0	0.00%
<b>თანხების გადახდის ნაერთი ჯამი</b>				
21 იან 2013	სესხი 2879	6,400	0	10.00%
21 იან 2013	სესხი 2880	1,619	0	10.00%

## ■ წინაპირობების შესრულების სტატუსი

წინაპირობები შემდეგ კატეგორიებად არის დაყოფილი—აუდიტის მიერ შემოწმებული პროექტის ფინანსური ანგარიშები, დაცვის საკითხები, სოციალური, სექტორთან დაკავშირებული, ფინანსური, ეკონომიკური და სხვა. წინაპირობების შესრულება ფასდება კატეგორიების მიხედვით შემდეგი კრიტერიუმებით: (i) დამაკმაყოფილებელი—კატეგორიაში ყველა წინაპირობა შესრულებულია ერთი გამონაკლისის დაშვებით, (ii) ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი—კატეგორიაში მაქსიმუმ ორი წინაპირობა არ შესრულდა, (iii) არადამაკმაყოფილებელი—კატეგორიაში სამი ან მეტი წინაპირობა არ შესრულდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სახელმძღვანელოს თანახმად, პროექტის ფინანსური ანგარიშის პირობებთან შესაბამისობის რეიტინგი ვრცელდება ისეთ პროექტებზე, რომელთა შესახებ მოლაპარაკებები 2012 წლის 2 აპრილის შემდეგ შედგა.

დამტკიცების ნომერი	კატეგორია						პროექტის ფინანსური ანგარიში
	სექტორი	სოციალური	ფინანსური	ეკონომიკური	სხვა	დაცვა	
სესხი 2879	–	–	–	–	–	–	–
სესხი 2880	–	–	–	–	–	–	–

## ■ საკონტაქტო ინფორმაცია

აგბ-ის პასუხისმგებელი  
ოფიცერი

ბერტრან გოალუ (bgoalou@adb.org)

აგბ-ის პასუხისმგებელი  
დეპარტამენტი

ცენტრალური და დასავლეთ აზიის  
დეპარტამენტი

აგბ-ის პასუხისმგებელი  
განყოფილებები

ურბანული განვითარება და წყალი

აღმასრულებელი სააგენტოები

საქართველოს მუნიციპალური  
განვითარების ფონდი

## ■ ბმულები

პროექტის ვებგვერდი

<http://www.adb.org/projects/42414-033/main>

პროექტის დოკუმენტაციის  
ჩამონათვალი

<http://www.adb.org/projects/42414-033/documents>